

DOI: <https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.16>

სპერის ტოპონიმია ისტორიულ წყაროებსა და ქართულ საისტორიო ლიტერატურაში¹

ONOMASTICS OF SPERI IN HISTORICAL SOURCES AND GEORGIAN HISTORIOGRAPHY

მამია ფაღავა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Mamia Paghava

Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

აბსტრაქტი

ქართულმა საისტორიო წყაროებმა მწირი ცნობები შეინახა სპერის შესახებ, შესაბამისად, ცოტაა საისტორიო ნაკვლევებიც, თუმცა ქართველი მკვლევრები – ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ ჯანაშია დამაჯერებლად მსჯელობენ სპერზე და საყურადღებო დაკვირვებებსაც გვთავაზობენ; უფრო მეტი დაუცავს უცხოურ წყაროებს, ისტორიკოსთა თუ გეოგრაფთა შრომებს, მოგზაურთა ჩანაწერებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სპერი ჭოროხის ქვეყნებიდან ყველაზე ადრე (1514 წელს) გადავიდა ოსმალთა მმართველობაში და ადრევე დაიწყო სპერელთა ასიმილაცია, რომ სპერელებმა დაივიწყეს წინაპართა ენა, ფოლკლორი, ტრადიციები... ნათელი გახდება სპერის კვლევისას ძველი წყაროების მნიშვნელობა.

უპირველესად მნიშვნელოვანია გაირკვეს, ა. ვინ იყო სპერის აბორიგენი მოსახლეობა და ბ. რა მიწებს მოიცავდა ისტორიული სპერი. დასახელებულ პრობლემებზე პასუხი უნდა ვეძიოთ ისტორიულ წყაროებსა და ონომასტიკაში, უფრო გეოგრაფიულ სახელთა ძველ ფენაში.

„ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენებია სპერი სხვადასხვა მნიშვნელობით:

სპერი – ქვეყანა;

სპერი – ქალაქი, აწინდელი ისპირი;

სპერის მდინარე, იგივე ჭოროხი;

სპერის ზღვა, იგივე შავი ზღვა, პონტოს ზღვა.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, XVIII საუკუნეში სპერელები არიან „... მოჰმადიანნი სრულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა“.

¹ The paper was carried out within the framework of the grant project “Speri – Historical-Philological Research” (FR-23-6916), funded by the Shota Rustaveli National Science Foundation.

პავლე ინგოროყვა სპერს ეტიმოლოგიურად უკავშირებს სატომო სახელს იბერი: სპერი / *სპერი / ჰიბერი (სპერი უცხო ენობრივ გარემოში ჩამოყალიბებულ ტერმინად მიაჩნია ს. ჯანაშიასაც). საყურადღებოა, რომ, მკვლევრის დაკვირვებით, ბასიანი (ძვ. ფასიანი) სასპერეთის ნაწილია, რომლის აბორიგენი მოსახლეობაა ფასიანნი, ფასიანელნი. ბასიანში მოსახლე ტომის სხვა სახელწოდებაა ბოლხარი (ბოლ-ხ-არ'ი), ბოლხი, ბოხაელნი.

პ. ინგოროყვას დაკვირვებით, სპერი სამად იყოფა:

ზემო სპერი – ჭოროხის სათავეები და ბაიბურთი; შუა სპერი – ღართი, ქვემო სპერი – ქალაქი სპერი პარხლის(?) ჩათვლით.

ქართულია სპერის ძველი გეოგრაფიული სახელები: კარი (შემდგომ – ყარსი), შქვიდისი, ღართა, გაჩევანი, ხორტევანი, ზარიშტიანი (წინუბანი), ვაშლოვანი, ტირახთი, კობლათი, ორცორი (<*ორწორი<ორწვერი), მესოხორი...

სპერის ონომასტიკური მასალები ადასტურებს, რომ სპერი ქართული ქვეყანაა.

საკვანძო სიტყვები: სპერის ტოპონიმია, ჭოროხის ხეობა, სამხრეთ საქართველო.

ABSTRACT

Georgian The information preserved in Georgian historical sources concerning Speri is rather limited, which explains the relative scarcity of historiographical studies on the subject. Even so, Georgian scholars—among them Ivane Javakhishvili, Pavle Ingorokva, Ekvtime Takaishvili, and Simon Janashia—have offered insightful analyses and valuable observations regarding Speri. Far richer material, however, is preserved in foreign sources—ranging from the works of historians and geographers to the accounts of travelers. Since Speri was the earliest of the Chorokhi regions to come under Ottoman rule in 1514, and the assimilation of its inhabitants began soon afterward, resulting in the gradual disappearance of their ancestral language, folklore, and traditions—the significance of early historical sources becomes particularly evident when studying Speri.

First and foremost, it is essential to determine: (a) who constituted the indigenous population of Speri and (b) which territories were encompassed within its historical boundaries? Addressing these issues requires the use of historical sources and onomastic data, with particular attention to the earliest layer of geographical names.

In The Georgian Chronicles (Kartlis Tskhovreba), the term სპერი (Speri) appears with several meanings:

- სპერი (Speri) as a country;
- სპერი (Speri) as a city, corresponding to present-day ისპირი (Ispir);
- სპერის მდინარე (The River of Speri), identified with the ჭოროხი (Chorokhi River);
- სპერის ზღვა (The Sea of Speri), referring to the Black Sea, also known as the Pontic Sea.

According to Vakhushti Bagrationi, in the 18th century, the people of Speri were ‘...entirely Muslim, Georgian in language, and Ottoman in customs.’

Pavle Ingorokva connects the etymology of Speri to the ethnonym იბერი (Iberi), suggesting the forms სპერი//სპერი//ჰიბერი (Speri // Sberi // Hiberi.) (Likewise, S. Janashia regards სპერი (Speri) as a term shaped in a foreign linguistic milieu).

It is noteworthy that, according to the researcher's observation, ბასიანი (Basiani) (previously known as ფასიანი (Pasiani)) was part of the Speri region (სასპერეთი Saspereti), whose indigenous population comprised the ფასიანი (Fasiani) or ფასიანელნი (Fasianelni). Another name for the tribe residing in Basiani is ბოლხარი (Bolkhari (Bol-kh-ar'i)), also referred to as ბოლხი (Bolkhi) or ბოხაელნი (Bokhaelni).

According to P. Ingorokva's observations, Speri is divided into three parts:

- Upper Speri – the headwaters of the Chorokhi and Baiburt;
- Middle Speri – Gharti;
- Lower Speri – the city of Speri, including Parkhali (?).

The ancient geographical names of Speri are of Georgian origin: კარი (Kari, later Karsi), შქვიდისი (Shkvidisi), ღართა (Gharta), გაჩევანი (Gachevani), ხორტევანი (Khorteveni), ზარიშტიანი (Zarishtiani (წინუბანი, Tsinubani), ვაშლოვანი (Vashlovani), ტირახტი (Tirakhti), კობლათი (Koblati), ორცორი (Ortsori) (< *Orts'ori < Orts'veri), and მესოხორი (Mesokhori), among others.

Onomastic evidence clearly indicates that Speri was historically a Georgian territory.

Keywords: Speri toponymy, Chorokhi Gorge, Southern Georgia.

შესავალი

ქართულმა საისტორიო მეგობრებმა, შესაბამისად ისტორიულმა მეცნიერებამაც, მწირი ცნობები შეინახა საქართველოს ამ განაპირა ქვეყანაზე. ბარემ ვიტყვით, რომ სპერის შესახებ უფრო მეტი ცნობა დაუცავს უცხოურ წყაროებს, – ისტორიკოსთა თუ გეოგრაფთა შრომებს, ასევე, მოგზაურთა ჩანაწერებს.

ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის ოდინდელი მოსახლეობის ეროვნული ვინაობის გამოსარკვევად ერთ საუკეთესო საშუალებათაგანად უნდა გეოგრაფიული სახელების ანალიზი იყოს მიჩნეული“ (ჯავახიშვილი 1998: 42). შდრ.: ტოპონიმის საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ, რა ენაზე საუბრობდნენ ამა თუ იმ ადგილის ბინადრები... (რეიფილდი 2019: 11).

კვლევი მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

მსჯელობა

მივყვით დიდი მეცნიერის რჩევას და განვიხილოთ სპერის გეოგრაფიული სახელები, რომლებიც დაუცავს ისტორიულ წყაროებს და საისტორიო ლიტერატურას.

უპირველესად „ქართლის ცხოვრებას“ მივმართოთ.

ჯუანშერი: „აღიყარა ლაშქარი გარემოს ქალაქისა და ვლეს ხუთისა დღისა სავალი სამხრით კერძო და დადგეს სპერით კერძო“ (ქ. ცხ., 1955, 170:

13-14). კიდევ რამდენჯერმე ახსენებს ჯუანშერი სპერს (ქ. ცხ. 1955, 203: 2; 226: 4; 238: 15; 344: 16).

საყურადღებოდ გვეჩვენება მემათიანის ცნობა: „წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა, **სპერი** და ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირი“ (ქ. ცხ. 1955, 226: 4). მოყვანილ ამონარიდში ყურადღებას იქცევს „სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირი“. ბუნებრივია, იბადება კითხვა: რომელ ტერიტორიებს გულისხმობს ჯუანშერი „ზღვის პირში?“

ძველი წყაროებით ჭოროხს „სპერის მდინარეც“ ეწოდება: „მდინარესა **სპერისასა**, რომელსა ჰქვია ჭოროხი“ (ქ. ცხ. 1955, 17: 20), შავ ზღვას კიდევ – „**სპერის ზღვა**“ ჰქვია (ქ. ცხ. 1955, 8: 11; 9: 14, 23; 19: 9; 205: 17). ჭოროხს **სპერის მდინარე** რომ ჰქვია, სათავეებში მაინც, გასაგებია, – ქართული ტრადიციის ასახვაა მდინარის სახელდებაში: მდინარეს ჰქვია იმ ქვეყნის, მთის, სოფლის სახელი, რომელსაც ჩამოუდის, ან – საიდანაც სათავეს იღებს. საკითხავია, იმავე მდინარეს რატომ დაერქვა ჭოროხი? შესაძლოა იმიტომაც, რომ იგი წყალუხვია. დიდი წყალი, თანამედროვე ტაოელის (და არა მარტო) გაგებით, ჭოროხია. ასევე, ყურადღებას იქცევს „სპერის ზღვა“ – „შავი ზღვის“ სინონიმი; ჩანს, ძველად სპერის საზღვრები ზღვამდე აღწევდა.

„ქამთააღმწერელთან“ გვხვდება **ქალაქი სპერი**: „მოიცვა ბექამან **ქალაქი სპერი**“ (ქ. ცხ. 1959, 315: 8).

მაშასადამე, ქართულ მატთანებში ნახსენებია:

სპერი – ქვეყანა;

სპერი – ქალაქი, ახლა ისპირი < *ისპერი?

სპერის მდინარე, იგივე ჭოროხი;

სპერის ზღვა, იგივეა, რაც შავი ზღვა.

ვახუშტი ბატონიშვილმა პირველმა მოგვცა სპერელთა დახასიათება:

„კაცნი იუწყე მგზავსნი სამცხისანი და აწ მოჰმადიანნი სრულიად, **ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა**“ (ქ. ცხ. 1973: 686). ბატონიშვილი ახსენებს მცირე ქალაქს **ისპირა** (sic), შდრ.: სპერი, მოგვიანებით ისპირი.

საყურადღებოა მოყვანილი ცნობა:

ა. ჩანს, XVIII საუკუნეში სპერელები ქართულად საუბრობდნენ;

ბ. ამ დროისათვის დასრულებული ჩანს სპერის მიქცევა მაჰმადის რჯულზე;

გ. ქალაქის (ალბათ ქვეყნისაც) სახელი (სპერი) უკვე თურქულად ჟღერს – ისპირი.

მნიშვნელოვან ცნობებს ვპოულობთ ქართულ საისტორიო ნაკვლევებში.

ივანე ჯავახიშვილი მოიტანს ცნობას თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან, რომ „სულტანი რუქნადინი დაბანაკებული იყო ბასიანისა ადგილსა **ბოლოტკედ** (ქცა – **ბოლოსტიკედ**) წოდებულსაო“. **ბოლოტკედ** მკვლევარს გადამწერთაგან დამახინჯებულ ფორმად მიაჩნია; პირველი ნაწილი არის „ბოლ“ ანუ „ბოლო“ და უდრის ბერძნულ „ბოლოს“, ხოლო სომხურს „ბოლბერდ“. სომხური სახელის მეორე ნაწილი ციხესა ჰნიშნავს. პროკოპი კესარიელიც მას ციხედა სთვლის. ამიტომ, შესაძლებელია, ამ ადგილის ქართული სახელის მეორე ნაწილი „ტიკე“ გადამწერთაგან დამახინჯებული „ციხე“ იყოს. მაშინ თავდაპირველად იქნებოდა „**ბოლოსციხე**“ (იხ. ჯავახიშვილი 1983: 67).

პავლე ინგოროყვა **სპერს** ეტიმოლოგიურად უკავშირებს სატომო სახელს **იბერი**: **სპერი** // **სპერი** // **პიბერი** (ინგოროყვა 1954: 90). გამოდის, **სპერი** სატომო სახელია და არა ქვეყნის.

ყურადღებას მივაქცევთ პ. ინგოროყვას კიდევ ერთ მსჯელობას; მკვლევარი **ფასიანების** ტომს ასახელებს არაქსის ხეობის ზემო ნაწილში, **ბასიანში** (ძვ. ფასიანო) (იხ. ინგოროყვა 1954: 480, სქ. 1). **ესპერიტებს** სჭერიათ... ფასიანების აღმოსავლეთით მდებარე სექტორი იმავე არაქსის ხეობაში (ახურიანის ხეობის ზონა). ესპერიტების ეს ტერიტორია, მოხსენებული ჰეროდოტეს მიერ, არის ნაწილი დიდი **სასპერეთისა...** რომლის მიწა-წყალი არაქსის ხეობაში გადადიოდა (უთითებს: ჰეროდოტე, III, 94; VII, 79. ინგოროყვა 1954: 480).

შევნიშნავთ: **ესპერიტებში** გამოიყოფა **სპერ-** სახელური ფუძე. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ საკუთარ სახელს **სასპერეთი**², **სა-ეთ** კონფიქსით ნაწარმოებ ქვეყნის სახელს: **სასპერეთი** სპერების ქვეყანაა.

საინტერესოდ გვეჩვენება სატომო სახელი **ფასიანი** (**/*ბასიანი**). ფუძეში გამოიყოფა **-იან** სუფიქსი. **-იან** და მისი „ფონეტიკური ვარიანტები ტაოურში ჩვეულებრივ აწარმოებენ ე.წ. მეტსახელ გვარებს; იგივე სახელები, უმეტესად მრავლობითის ფორმები, აღნიშნავენ სოფელში ამ გვარის საცხოვრისს, უმეტესად სოფლის უბანს, მაჰალეს“ (ფალავა... 2024: 191): **ოხშიანი, სალიანი, ჭელიანი...** ტოპონიმებია ტაოში. **ფასიანი // ბასიანი** **-იან** სუფიქსიანი ტაოური სახელების გვერდით დადგება. პ. ინგოროყვა ადასტურებს მრ. ფორმასაც – **ბასიანნი**, რაც ამოსავალია დასახელებული ტოპონიმისათვის.

ბასიანი ორია: ზემო და ქვემო. ამ უკანასკნელში შედის აბელიანის თემიც.

ყურადღებას მივაქცევთ ტოპონიმს **აბელიანი** (აბელ-იან³), ისიც **-იან** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელია.

ფასი // ბასი, აბელ ანთროპონიმებია.

ჩანს, **-იან** სუფიქსიანი ქოხის სახელები (მეტსახელი გვარები) ტაოს მოსაზღვრე სპერშიც გვხვდებოდა. ცნობა გეოგრაფიულ სახელებს დაუცავს.

პ. ინგოროყვა ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით იტყვის, რომ **ბასიანის** ძველი სახელწოდებაა **ფასიანი**, „ხოლო აქ მოსახლე ქართველ ტომს ეწოდებოდა **ფასიანნი** ანუ **ფასიანელნი**“ (ინგოროყვა 1954: 519. უთითებს ქსენოფონტეს ანაბანისს). იქვე მკვლევარი აღნიშნავს, რომ არაქსს მდინარების ზემო ნაწილში **ფასისი** ერქვა (იქვე), ამ სახელით ახსენებს არაქსს ქსენოფონტეო.

პ. ინგოროყვას აზრით, ფასი წყალია:

ფასისი – რიონი,

ფასისი – ჭოროხი,

ფასისი – არაქსის ზემო წელი.

მკვლევარი ასკვნის: „მხარის მთავარი მდინარის სახელწოდებასთან (ფასისი), ცხადია, დაკავშირებულია მხარის სახელწოდება „ფასიანნი“, „ფასიანელნი“ (ინგოროყვა 1954: 519).

ნაკლებსარწმუნოა, რომ **ბასიანი < ფასიანი** მხარის სახელწოდება უკავშირდებოდეს მდინარის სახელწოდებას. ვფიქრობთ, **ბასი // ფასი** ანთროპონიმია, მისი ჩამომავლები არიან **ბასიანები // ფასიანები**.

² „კავკასიის ისტორიაში“ ნახმარია ტერმინი **სასპერიტები** ეთნოსის აღსანიშნავად (იხ.: კავკასიის ისტორია, ტ. 1, 2023: 160). **სასპერიტები** აგებულია გეოგრაფიული სახელი ჩანს და არა – სატომო. თავსართი **სა-** დანიშნულების მნიშვნელობას ანიჭებს სახელურ ფუძეს. იქნებ, **სასპერიტები** (< *სასპერეთი) იყოს... შდრ.: შავში – შავშეთი, კლარჯი – კლარჯეთი, სომეხი – სომხეთი // სასომხეთი... სპერი – სპერეთი/სასპერეთი.

ბარემ აღვნიშნოთ, რომ ბასიანის მხარეში მოსახლე ტომის მეორე სახელწოდება ყოფილა **ბოლხარი** (ბოლ-ხ-არ'ი), **ბოლხი**, **ბოხაელნი** (იქვე).

შევნიშნავთ, ბოლი მიწის სახელი უნდა იყოს, **ბოლხი**, **ბოლხარი** – აქ მოსახლე ხალხისა. **ბოლხი** შემდეგ ტოპონიმად ქცეულა.

ტოპონიმ ბოლხ'ის მსგავსი სახელები გვხვდება ტაოშიც: შდრ.: **ბალხი**, **კალმახი...**

ბასიანის მხარის ცენტრს ერქვაო **ბოლი** // **ბოლო** (იქვე).

ბოლი // **ბოლო** ადგილის სახელია, აქაურ მკვიდრს **ბოლხი** უნდა რქმეოდა.

ბოლ-ხ-არ'იც ამავე რიგის სახელია. შდრ.: **კოლა** და **კოლას** მკვიდრი – **კოლხი**, **ტაო** და **ტაოს** მკვიდრი – **ტაოხი...** „ბოლოკიდური -ხი ეთნიკური სახელების დაბოლოებაში სადაურობაზე მიუთითებს. იგი იმავე ფუძეცას ასრულებს, რასაც დაბოლოებანი: -ელ, -არ“ (იხ. ფაღავა... 2024: 195. შდრ.: შანიძე 1981; ფაღავა 2018).

ბოლხარი (ბოლ-ხ-არ' ორმაგი წარმოების გეოგრაფიული სახელი ჩანს.

-არ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელის პოვნის რეზულტატი ამ მხარეში კოლხური კვალის დასტური ჩანს.

მართლად შენიშნავს პ. ინგოროყვა, ქართული წარმოშობისაა ბასიანის მხარის მთავარი ქალაქის სახელი – **კარი** (ახლა ყარსი) (ინგოროყვა 1954: 520).

კარ' > **ყარ'**ს კ : ყ მონაცვლეობით. შდრ.: **კარისი** > **ყარისი** > **ყარსი**.

შქვიდისი (შვიდის სოფელი) ეწოდება მთებს, რომელიც ჭოროხის ხეობას ჰყოფს ლაზეთისაგან (ინგოროყვა 1954: 484).

შქვიდისი ლაზური სახელია იმ მთებისა, რომელთაც ტაოელი პარხლის მთებს ეძახის, ლაზები – ლაზეთის მთებს.

ერთ მთას სამი სახელი აქვს. თუმცა რატომ სამი, ახალ დროში მას კაჩკარი უწოდეს.

პავლე ინგოროყვას მიხედვით, სპერი სამად იყოფა:

ზემო სპერი – აქ შემოდის ჭოროხის სათავეები და ზაიბურთი.

შუა სპერი – ღართი.

ქვემო სპერი – აქ შემოდის სპერი (ქალაქი) პარხლის ჩათვლით (იხ. ინგოროყვა 1954: 492, რუკა)³. ქვემოთ მკვლევარი პროკოფი კესარიელზე დაყრდნობით აზუსტებს შუა სპერის მდებარეობას: შუა სპერი, იგივე ჭანეთის სპერი, მოიცავდა ღართის ველსა და მის ზონას (ინგოროყვა 1954: 513).

საინტერესოა გეოგრაფიული სახელი **ღართა** (ღარ-თა). იგი -თა სუფიქსითაა ნაწარმოები. **ღართი**, სულხან-საბას განმარტებით, „საწვმარი ნაბადია“ (ორბელიანი 1949). ვფიქრობთ, ნაკლებადაა სავარაუდებელი, მოყვანილი ფუძე ნაბადთან იყოს დაკავშირებული.

ღარა აჭარულში წყლის სადინარია (ნიჟარაძე 1971). გურულსა და აჭარულში დასტურდება **ღარდა** (<*ღართა?) – წყლისა და ღვარის მიერ გათხრილი ორმო (ჭყონია 1910); **ღრამ ხრამი**, ან ძნელად ჩასასვლელი, ძნელად მისადგომი ადგილი (შარაშიძე 1938); **ნაპრალი**, **ღარი**, **ხრამი...** (დლონტი 1984). დასახელებულ მნიშვნელობებს უნდა უკავშირდებოდეს სპერის **ღართა**.

³ ვფიქრობთ, გამართლებული ვერ იქნება პარხლის სპერზე მიკუთვნება, რამდენადაც პარხალი ტაოს ნაწილია.

ქართული წარმოებისა ჩანს ბასიანის მხარის უბნების (კანტონების) სახელები: **კარნიფორი** (გაჩეევანი), **კარი** (იგივე - ვანანდი), **ხორტევანი**, **ზარიშტიანი** (წინუბანი) (ინგოროყვა 1954: 528).

კარნიფორი იგივე გაჩეევანია.

კარ-წი+ფორი კომპოზიტია. პირველი კომპონენტი მრავლობითშია, მეორე კომპონენტი, – **ფორი** იგივეა, რაც „მეედანი“ (ორბელიანი 1949). კარნიფორი კარის მოედანია.

გაჩეევან- სახელურ ფუძეში გამოიყოფა **-ევან** სუფიქსი, რომელიც გამოხატავს მქონებლობას (ჯორბენაძე... 1988: 136).

ხორტევან- სახელურ ფუძეში გამოიყოფა **-ევან** მაწარმოებელი. **ხორტ < ზორდ-**ისაგან. ხორდი, სულხან-საბას დაკვირვებით, იგივეა, რაც **ხორგი**, ეს უკანასკნელი კი ნიშნავს: „წყალთ ყინული დიდი მონატეხი“ (ორბელიანი 1949). აღვნიშნავთ, რომ **ხორდი** გვხვდება მთიულურში და ნიშნავს: 1. დიდი სიცივე, რომლის დროსაც წყალი იყინება; 2. ძალიან ცივი წყალი“ (დლონტი 1984).

ხორტევანი ყინულიანს, ცივს უნდა ნიშნავდეს.

ზარიშტი-იან – ფუძეში გამოვყოფთ **-იან** სუფიქსს, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა ადამიანის საკუთარ სახელთაგან შტო-გვარის წარმოება; ეს უკანასკნელი კიდევ გამოხატავს ადგილსაც, სადაც ამ „გვარის“ წარმომადგენლები სახლობენ (იხ. ფალავა 2021: 402-419, 420-428). **ზარიშტი** ანთროპონიმი უნდა იყოს.

წინუბანი – მნიშვნელობა გამჭვირვალეა და მასზე აღარ შევჩერდებით.

ჭოროხის ხეობის მხარეებს შორის – აჭარის, შავშეთის, კლარჯეთის, ნიგალის ხევის(?), ტაოს (ტაონი) გვერდით პ. ინგოროყვა ასახელებს **სპერს** (=ვაშლოვანი) (იხ. ინგოროყვა 1954: 537).

ყურადღებას მივაქცევთ სპერის მეორე სახელწოდებას – **ვაშლოვანი** (ვაშლ-ოვან^ი), **-ოვან** სუფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელს. ტოპონიმი გამჭვირვალეა და ამიტომაც ახსნას არ საჭიროებს.

ექვთ. თაყაიშვილი ასახელებს **ისპირის ოთხთა ეკლესიას** (თაყაიშვილი 2016: 333; შდრ.: 36), რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, – ამბობს მკვლევარი. „ქვემოთ“ (თაყაიშვილი 2016: 379 და შემდეგ) საუბრობს ტაოს ოთხთა ეკლესიაზე, რომელიც მდებარეობს გზაზე იუსუფელიდან სპერისაკენ 11 კილომეტრში, ახლა – დორთ ქილისე. იმავე სახელს ატარებს სოფელი და ხევიც.

რატომაა ოთხთა ეკლესია ისპირის?

ოთხთა ეკლესია – სინტაგმა ტოპონიმი ქართულია, ამასთან, გამჭვირვალე, ოთხი მახარებლის სახელზე აშენებული ტაძარია.

ექვთ. თაყაიშვილთან ნახსენებია **ქალდეა** (//ხალდეა) ქვეყნის სახელი და **ქალდელები** (ხალდელები) – სატომო სახელი.

ქალდეა // ხალდეა პარალელური ფორმებია, **ქ : ხ** თანხმოვანთმონაცვლეობა დაშვებულია სამხრულ კილოებში. ყურადღებას მივაქცევთ ექვთიმე თაყაიშვილის ერთ მოსაზრებას: „ჭან-ლაზთა ტომს ეჭირა ზემო და შუა-წელი ჭოროხისა და ორივე მხარე პონტოს ქედისა, შავი ზღვიდან ჭოროხის მდინარემდე. შემდეგ მათი მოსახლეობა გავრცელებული იყო ისპირიდან ტრაპიზონამდე და მის არე-მარემდე და ეს დასავლეთის ადგილი იწოდებოდა ქალდეად და მცხოვრებნი ქალდელებად, ანუ ხალიბებად. ზოგჯერ ეს მხარე ცნობილი იყო ჭანეთად

(ბერძნულად – ცანიკად) და მცხოვრებნი ჭანებად (ბერძნულად ცანებად). ხოლო ჭოროხის ქვემო წყლის მოსახლეობას შეადგენდა ლაზ-მეგრელთა ტომი“ (იხ. თაყაიშვილი 2016: 422).

სპერის ონომასტიკის შესახებ ცნობებს ვხვდებით **სიმონ ჯანაშიას** შრომებშიც.

სპერში მკვლევარი ასახელებს საგეოგრაფიო სახელებს **ტირაბთი** (იხ. ჯანაშია 1959: 144) და **კობლათი** (იქვე: 145).

კობლათი სეგმენტირდება: **კობლა-თ**’ი. **კობლა** (<* კობალა) ანთროპონიმი ჩანს. **კობლათი**’ **კობლას** / **კობალას** კუთვნილს უნდა ნიშნავდეს.

ყურადღებას იქცევს **ტირაბთი**’ი, რომელიც დაიშლება: **ტირა-ბ-თ**’ი. აქ იგივე **ბ**’ უნდა გვქონდეს, **კოლხ**’სა და **ტაოხ**’ში რომ გვხვდება; შესაბამისად, საკუთარი სახელიც ქართული უნდა იყოს.

წყაროებიდან ირკვევა, რომ ჭოროხი „მრავალსახელიანი მდინარეა“ (ჯანაშია 1988: 263-265):

ფაზისი – ჭოროხის ქვემო ნაწილი;

აკამფისი – ქვემო ნაწილი, ეგრისელები ეძახიანო;

ბოასი – ზემო ნაწილი;

კაკამარი – ხალდეები ეძახიანო;

მოჰი – სომხური.

დასახელებულთ დამატება ლეონტი მროველისეული **სპერის მდინარე**.

ამდენად, ჭოროხი ექვსი სახელით არის ცნობილი საისტორიო წყაროებში.

ისტორიული წყაროებიდან ს. ჯანაშია მოიყვანს **სპერის** აღმნიშვნელ პარალელურ ფორმებს:

სპერი აღნიშნავს ხალხს;

სასპეირ (ჰეროდოტე);

[**ჰესპერიტ** (ქსენოფონტე);

საპეირ (აპოლონი როდოსელი, სტეფანე ბიზანტიელი);

სავეირ (სტეფანე ბიზანტიელი);

აღნიშნავს ტერიტორიას:

სვსპირ-იტ (სტრაბონი);

სპერ-[ია] (ევსევი);

სპერ* (ქართული და სომხური ისტორიული წყაროები);

ისპირ (თურქული წყაროები; ჯანაშია 1952: 60-61).

სპერ ფორმის შესახებ ს. ჯანაშია სქოლიოში აღნიშნავს: „ფორმა წარმოშობით ქართული არ უნდა იყოს. იგი, ალბათ, ძველი ბერძნული ტრადიციიდან მომდინარეობს და არაქართულსავე ენობრივ წრეში უნდა იყოს ჩამოყალიბებული მოცემული სახით“ (ჯანაშია 1952: 61, სქ.). მკვლევრის მოსაზრება სარწმუნოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი **იბერ**’ის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა.

ს. ჯანაშიას შრომებში სპერის ქვეყნის კიდევ რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს ვხვდებით, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისათვის:

ხართი (შდრ.: ქართა – ს.ჯ.) (ჯანაშია 1952: 94).

ხარ-თ’ში ხომ არ დავინახოთ **ხარ**- სახელური ფუძე? შდრ.: **ხართა** – სამოვარი, საწოლი...

ჩუმოვანი (ჯანაშია 1952:9 5). დასახელებული გეოგრაფიული სახელი სეგმენტირდება: **ჩუმ-ოვან**’ი. **-ოვან** ცნობილი მაწარმოებელია ქართულში,

აღნიშნავს ნიშან-თვისებას, ზოგჯერ კრებითობის სემანტიკის შემცველია (იხ. ჯორბენაძე... 1988: 348). სამიბეღელია ჩუმ- ფუძის მნიშვნელობა.

სულხან-საბა განმარტავს **ჩუმა**ს: „უმი ერბო“ (იხ. ორბელიანი 1949; შდრ.: ჩუბინაშვილი 1984; ღლონტი 1984).

ორცორი (შდრ.: ორწვერი. ჯანაშია 1952: 95).

ორცორი < *ორწპრი < ორწვერი საგან. ჩანს, სპერული დიალექტისათვის უმლაუტი (P) იყო დამახასიათებელი.

ნახიზირ – მთაა. მკვლევრის ვარაუდით, აღდგება **ნახი ძირი** (?). კომპოზიტია **ნახიზირ < *ნახიძირ**ი. მეორე ფუძის მნიშვნელობა ნათელია, რას უნდა ნიშნავდეს **ნახი**? დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, თუმცა არსებული მასალა ერთი ვარაუდის საშუალებას გვაძლევს: **ნახი < *ნალი** საგან (შდრ.: ნალიძირი). **ნალი** დასტურდება ფშაურში და ნიშნავს ნაპრალს (ღლონტი 1984). თუ ჩვენი დაშვება სწორია, **ნახიძირი < ნალიძირი** ნაპრალის ძირს უნდა ნიშნავდეს.

ხორტიკი (დაბაო, – წერს ს. ჯანაშია), დასტურდება **ხორტიკ დალი**ც (ქედი).

რას უნდა ნიშნავდეს **ხორტიკი**?

ტოპონიმი ასე სეგმენტირდება: **ხორტ-იკ**ი.

-**იკ** ქართულში კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსია (ჯორბენაძე... 1988: 231). **ხორტ**ი დასტურდება მოხეურსა და მთიულურში, ნიშნავს: „მთის ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლი“ (ქეგლ; შდრ.: ღლონტი 1984). შესაძლებელია სხვა დაშვებაც: **ხორტი < *ხორდი**-საგან. სულხან-საბას განმარტებით, **ხორდი** იგივეა, რაც **ხორგი** და ნიშნავს „წყალთ ყინული დიდი მონატეხი“ (ორბელიანი 1949).

ხორტიკი „მთის ნაოჭებში ჩარჩენილ მცირე თოვლს“ ან „ყინულის მცირე ნატეხს“ უნდა ნიშნავდეს.

ორივე შემთხვევაში ტოპონიმი ქართული ჩანს.

ხუნტუსი (< *ხუნტუ-ის-ი). -**ის** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები საკმაოდაა საქართველოში. რაც შეეხება **ხუნტ-** ფუძის მნიშვნელობას, შესაძლებელია ასეთი ვარაუდი: **ხუნტუსი < *ხუნტუ-ის-ი < ღუნტუ-ის-ი < ღინტუ-ის-ი** (ი - უ > უ - უ რეგრესული ასიმილაციით). ღინტუ ანთროპონიმია კოლხურ სამყაროში.

ისპირთან, დასავლეთით, ყიზილ-იმარეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით კობლათი და გობლადი დასტურდება (იხ. ჯანაშია 1952: 95).

ყიზილ-იმარეთი ქართულ-თურქული ფუძეებით შედგენილი კომპოზიტია.

ყიზილ - თურქულია. და „წითელს“ ნიშნავს.

იმარეთში გამოვყოფთ -**ეთ** სუფიქსს. აღვნიშნავთ, რომ -**ეთ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მრავალია ქართულ ტოპონიმიაში ზოგადად, ბევრია ჭოროხის ხეობის ტოპონიმიაშიც. მოყვანილი ტოპონიმი ქართული წარმოებისაა, მაგრამ ჩვენთვის უცნობია **იმარ** სახელური ფუძის მნიშვნელობა. თუმცა ერთი დაშვების შესაძლებლობა გვაქვს: იქნებ ამოსავალია **ყიზილი-მარეთი**; თუ ასეა, მაშინ **მარ**ეთისეული **მარ** მნიშვნელობით დაუკავშირდება „მიწის ზვავს“ (დასტურდება მთიულურში, გუდამაყრულში, თუშურში. იხ. ღლონტი 1984). **მარეთი** ხეობაა ზემო აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში.

ყიზილ-მარეთი „წითელი მიწის ზვავს“ უნდა ნიშნავდეს.

კობლათის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

გობლადი < ***გობლათი** საგან, რომელიც დაიშლება: **გობლ-ათ**’ი. ტოპონიმი ქართული წარმოებისაა, სამიებელია **გობლ-** ფუძის მნიშვნელობა. შესაძლებელია გობლათი < ***კობლათი** საგან **გ : კ** მონაცვლეობით.

ს. ჯანაშია ყურადღებას მიაქცევს სხვა გეოგრაფიულ სახელებსაც: **მესოხორი, ზაზანა, სამერა**.

სამერა’ს შესახებ მკვლევარი კითხულობს: „ხომ არ არის ეს სავერის ნაშთი? ან რა კავშირი აქვს მასთან სივრი დაღს?“ (ჯანაშია 1952: 95).

სივრი დაღი თურქულია, ქართულად „ბუზის მთას“ ნიშნავს.

მესოხორი კომპოზიტი ჩანს, რომლის მეორე ნაწილია **ოხორი** (ლაზური **ოხორი** – სახლი. იხ. თანდილავა 2013. შდრ.: მეგრული **ოხორე**, – საცხოვრისი, დასახლება, სახლ-კარი, სასახლე, სამოსახლო. ქობალია 2010; **ოხორი** – სახლი. ქაჯაია 2002), სამიებელია **მესოხორის** მნიშვნელობა. **მესოხორი** აშკარად ლაზური (კოლხური) ტოპონიმია.

ზაზანა „ზარმაცის“ მნიშვნელობით იხმარება ქიზიყურში (ღლონტი 1984). **ზაზანა** ანთროპონიმი ან მეტსახელია, დაცულია გვარში **ზაზანაშვილი** (მაისურაძე 1990; შდრ.: ღლონტი 1986).

კიდევ ერთ გეოგრაფიულ სახელზე მსჯელობს ს. ჯანაშია: „**ხოტენე**, იგივე სტრაბონისეული **ხორმენეა**, ძველი **საბერ-სასპერების** მიწა-წყლის ნაწილი, არტაშესის მიერ მიტაცებული. უეჭველია, რომ აპიანეს მიერ მოხსენიებული **ხოტენელი იბერები** ძველთაგანვე მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნოდნენ და პირდაპირი ხაზით ჩამომავლობდნენ სასპერ-საბერებისგან“ (ჯანაშია 1952: 95).

ს. ჯანაშიას ნაშრომებით სპერის კიდევ რამდენიმე ტოპონიმით გამდიდრდა ჩვენი ცოდნა, რაც მნიშვნელოვანია.

დაბოლოს, მკვლევარი მოიხმობს „ქართლის მოქცევის“ ავტორის აზრს, რომ „...ჯერ კიდევ მოსე ხორენელის ხანაში (IX ს.) ბაგრატიონების სამფლობელოში (იგულისხმება სპერი – მ.ფ.) არ ისმოდა სომხური მეტყველება“ (იქვე: 96). სპერი ლინგვისტურად და ეთნოლოგიურად ქართული ქვეყანა იყო.

მნიშვნელოვანია სპერის საზღვრების ს. ჯანაშიასეული მონახაზი: „სამხრეთით სასპერ-საბერების მიწა-წყალი ვრცელდებოდა არაქსის ხეობასა, ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილზე და ევფრატის სათავეებზე“ (ჯანაშია 1952: 97).

ჩანს, სპერი ისტორიულად ვრცელი ქვეყანა იყო.

დასკვნა

განხილული ტოპონიმიკური მასალა ნათელს ჰფენს ერთ მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, **სპერის / იბერის** ძველი გეოგრაფიული სახელები აგრძელებს სიტყვაწარმოების იმ წესებს, ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის, აჭარისა და ლაზეთის სინამდვილეში რომ დასტურდება.

სპერში დადასტურდა:

ა) ტოპონიმთა სუფიქსური წარმოება:

-**იან**: ბას-იან’ი / ფას-იან’ი, აბელ-იან’ი...

-**ის**: ფას-ის’ი, შქვიდ-ის’ი, აკამფს-ის’ი...

-**ეთ**: სასპერ-ეთ’ი.

-**თ(ი)**: ხართ(ი), კობლა(თი), გობლა-თ(ი).

- ხ(ი): ბოლ-ხ(ი).
- არ: კაკამ-არ-ი.
- ოვან: ჩუმ-ოვან'ი.
- ა: ზაზან-ა, სამერ-ა.
- იკ: ხორტ-იკ'ი.

ბ) უაფიქსო წარმოება:

სპერი / ისპირი, იბერ'ი, ხოტენე / ხორბენე...

გ.) კომპოზიციით მიღებული ფუძეები:

ორცორი (< *ორწვერი), ნახიზირ (< *ნახიძირ'ი)...

ქართული / ქართველური ტრადიცია ჩანს ჰიდრონიმიშიც – ერთ მდინარეს რამდენიმე სახელი აქვს. ჭოროხის სახელებია:

სპერის მდინარე,

ფაზისი – მდინარის ქვემო წელი (ეგრისელები ეძახიან);

ზოასი – ზემო ნაწილი;

კაკამარი – ხალდები (ს. ჯანაშია) ეძახიან;

მოპი – სომხები ეძახიან.

ჭოროხი ზოგადი სახელია მდინარისა, „დიდ წყალს“ ნიშნავს აქაურთა გაგებით.

მნიშვნელოვანია, რომ სიტყვაწარმოების მოდელი ქართულია / ქართველურია, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ **სპერი / იბერი** ქართული ქვეყანაა.

გამოყენებული ლიტერატურა

თანდილავა 2013: თანდილავა ა., ლაზური ლექსიკონი. თბილისი, 2013.

თაყაიშვილი 2016: თაყაიშვილი ე., თხზულებანი 12 ტომად, ტ. I. თბილისი, 2016.

ინგოროყვა 1954: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბილისი, 1954.

კავკასიის ისტორია 2023: კავკასიის ისტორია, წიგნი I-II. როინ მეტრეველის რედაქციით. თბილისი, 2023.

მაისურაძე 1990: მაისურაძე ი., ქართული გვარ-სახელები. თბილისი, 2023.

ნიქარაძე 1971: ნიქარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი, 1971.

ორბელიანი 1949: ორბელიანი ს.ს., სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი, 1949.

რეიფილდი 2019: რეიფილდი დ., საქართველო – იმპერიათა გზაჯვარედინი. სამიათასწლოვანი ისტორია. გამომცემლობა „პალიტრა L“. თბილისი, 2019.

ფაღავა 2021: ფაღავა მ., ტაოური ჩანაწერები. თბილისი, 2021.

ფაღავა 2018: ფაღავა მ., ძველი წარმოების გეოგრაფიულ სახელთა ერთი ჯგუფი ტაოდან. საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, II. თბილისი, 2018.

ფაღავა... 2024: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი). თბილისი, 2024.

ქავთარაძე 1963: ქავთარაძე ი., მასალები იმერული ლექსიკონისათვის. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III. თბილისი, 1963.

ქაჯაია 2002: ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ოთხ ტომად, ტ. II. თბილისი, 2002.

ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი, 1950-1964.

ქობალია 2010: ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი. თბილისი, 2010.

ქცხ 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბილისი, 1955.

ქცხ 1959: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბილისი, 1959.

ქცხ 1973: ქართლის ცხოვრება. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV. თბილისი, 1973.

ღლონტი 1984: ღლონტი ა., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1984.

ღლონტი 1986: ღლონტი ა., ქართველური საკუთარი სახელები. თბილისი, 1986.

შანიძე 1981: შანიძე ა., ვინაობის -არ სუფიქსი ქართულ ენაში. თხზულებანი 12 ტომად, ტ. II. თბილისი, 1986.

შარაშიძე 1938: შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938.

ჭყონია 1910: ჭყონია ი., სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. სანკტ-პეტერბურგი, 1910.

ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, წიგნი II. თხზულებანი 12 ტომად, ტ. II. თბილისი, 1983.

ჯავახიშვილი 1998: ჯავახიშვილი ი., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თხზულებანი 12 ტომად, ტ. XI. თბილისი, 1998.

ჯანაშია 1952: ჯანაშია ს., უახლოესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაგზოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სინათლეზე. თხზულებანი, ტ. II. თბილისი, 1952.

ჯანაშია 1959: ჯანაშია ს., მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. თხზულებანი, ტ. III. თბილისი, 1959.

ჯანაშია 1988: ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია. თხზულებანი, ტ. VI. თბილისი, 1988.

ჯორბენაძე... 1988: ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, 1988.

References

Chkonias 1910: Chkonias I., The Bunch of Words, Words Omitted from the Dictionaries of Saba-Sulkhan Orbeliani and Davit Chubinashvili. St. Petersburg, 1910.

EDGL 1950-1964: „Explanatory Dictionary of the Georgian Language, v. I-VIII. Tbilisi, 1950-1964.

Glonti 1984: Glonti A., The Bunch of words of Georgian Kilo-Speech. Tbilisi, 1984.

Glonti 1986: Glonti A., Georgian Proper Names. Tbilisi, 1986.

Ingorokva 1954: Ingorokva P., Giorgi Merchule, Georgian Writer of the Tenth Century. Tbilisi, 1954.

- Janashia 1952:** Janashia S., The earliest national information about the early settlement of Georgians in the Near East, v. II. Tbilisi, 1952.
- Janashia 1988:** Janashia S., VI. Historical Geography of the Black Sea Coast”, v. II. Tbilisi, 1988.
- Janashia 1959:** Janashia S., For the etymology of the plural suffix -ta/t. Works. III. Tbilisi, 1959.
- Javakhishvili 1983:** Javakhishvili I.. History of the Georgian Nation, Book II. Works in 12 volumes, Vol. II. Tbilisi, 1983.
- Javakhishvili 1998:** Javakhishvili I.. Historical and ethnological problems of Georgia, the Caucasus and the Near East. Works. In 12 volumes, vol. XI. Tbilisi, 1998.
- Jorbenadze... 1988:** Jorbenadze B., Kobaidze M., Beridze M., Dictionary of Morphemes and Modal Elements of the Georgian Language. Tbilisi, 1988.
- Kavtaradze 1963:** Kavtaradze I., Materials for the Imeretian Dictionary. Issues of the Structure of the Kartvelian Languages, Vol. 3. Tbilisi, 1963.
- Kajaia 2002:** Kajaia O., Megrelian-Georgian Dictionary, in four volumes, Vol. II. Tbilisi, 2002.
- Kobalia 2010:** Kobalia A., Mingrelian Dictionary. Tbilisi, 2010.
- Maisuradze 1990:** Maisuradze I., Georgian surnames. Tbilisi, 1990.
- Nizharadze 1971:** Nizharadze Sh., The Adjarian Dialect of the Georgian Language, a Dictionary. Batumi, 1971.
- Orbeliani 1949:** Orbeliani S.S., Georgian Bunch of Words, which is a Dictionary, edited and prefaced by S. Iordanishvili. Tbilisi, 1949.
- Paghava 2021:** Paghava M., Taouri Records. Tbilisi, 2021.
- Paghava 2018:** Paghava M., A group of ancient geographical names from Tao. International Kartvelological Congress, II. Tbilisi, 2018.
- Paghava... 2024:** Paghava M., Tsintsadze M. Baramidze, M. Taoian dialect of the Georgian language. Tbilisi, 2024.
- Rayefield 2019:** Rayefield D., Edge of Empires: A History of Georgia. Tbilisi, 2019.
- Shanidze 1981:** Shanidze A., The -ar suffix of identity in the Georgian language. Works. In 12 volumes, Vol. II. Tbilisi, 1986.
- Sharashidze 1938:** Sharashidze G., Gurian Dictionary. Tbilisi, 1938.
- Tandilava 2013:** Tandilava A., Laz Dictionary. Tbilisi, 2013.
- Takaishvili 2016:** Takaishvili E., Stories in 12 volumes, vol. 1. Tbilisi. 2016.
- The History of Caucasus 2023:** The History of Caucasus, 1. Editor in chief Roin Metreveli. Tbilisi, 2023.
- The Life of Kartli 1955:** The Life of Kartli. Text established according to all the main manuscripts by S. Kaukhchishvili, Vol. I, Tbilisi, 1955.
- The Life of Kartli 1959:** The Life of Kartli, text established according to all the main manuscripts by S. Kaukhchishvili, vol. II. Tbilisi, 1959.
- The Life of Kartli 1973:** The Life of Kartli, a description of the kingdom of Georgia. Text established according to all the main manuscripts by S. Kaukhchishvili, vol. IV. Tbilisi, 1973.